

დირბის საბავშვო ბაღს რეაბილიტაცია უტარდება

20 აპრილი 2019

ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ დირბში მდებარე საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები შიდა ქართლის რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა და მისმა მოადგილემ სიმონ გულედანმა დაათვალიერეს. შენობას კაპიტალური რეაბილიტაცია უტარდება, რომლის ფარგლებშიც უკვე შეიძვალა შიდა კომუნიკაციები, კარ-ფანჯრები და სახურავი. დამონტაჟდება ცენტრალური გათბობა და შენობა აღიჭურვება ყველა საჭირო ინვენტარით. სამუშაოების დასრულების შემდეგ სააღმშრდლო დაწესებულებაში 6 ჯგუფი იფუნქციონირებს, ჯამში კი, 150 ბავშვს მოემსახურება. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტით ხორციელდება და ზაფხულში დასრულდება. „მაღე სოფელ დირბში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია დასრულდება და ადგილობრივ პატარებს განვითარებისთვის ყველა საჭირო პირობა ექნებათ. სკოლამდელ აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვების განვითარებისთვის და ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია, ხელი შევუწყოთ ამ პროცესს. გარდა დირბის ბაღისა, წელს 40-ზე მეტი საბავშვო ბაღი გარემონტდება, ხოლო აშენდება 5 ახალი საბავშვო ბაღი“, - აღნიშნა რწმუნებულმა.